საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 922 2019 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების შესახებ

1. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის მიზნით, ირანის ისლამური რესპუბლიკის მიერ იდენტიფიცირებული საჭიროებების გათვალისწინებით, ირანის ისლამურ რესპუბლიკას გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბალანსზე რიცხული ქონება, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მისი მმართველობის სფეროში შემავალმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა უზრუნველყონ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრამდე ტრანსპორტირებისა და გადაცემისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2019 წლის 15 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

დანართი

N	დასახელება	ერთეულის ღირებულება	გასაცემი რაოდენობა	საერთო ღირებულება
1	საკაცე გასაშლელი	438.74	130	57036.2
2	საკაცის ლეიბი	34.86	50	1743
3	საბანი შალის მწვანე	81.76	130	10628.8
4	საძილე ტომარა	0	50	0
5	წყლის კონტეინერი	3.94	300	1182
6	სასმელი წყლის გასაფილტრი კომპლექტი	92.87	200	18574
			საერთო ღირებულების ჯამი:	**89164.0**